ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5151751

ნომერი: AR1781769

თარიღი : 16.10.2020

გაცემის თარიღი : 20.10.2020

გაცნობის თარიღი : 23.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 52;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა ედიშერაშვილი პ/ნ 01001040982
- ქ. თბილისი, გელოვანის გამზირი 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2020 წლის 16 ოქტომბრის №AR1781769 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 16

ოქტომბერს №AR1781769 განცხადებით მომართა ეკა ედიშერაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 26 აგვისტოს №4647514 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 26 აგვისტოს №4647514 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამზირი გელოვანი, ავეჯის სახლის მიმდებარედ, (ნაკვეთი №6/3) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.003), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 აგვისტოდან 2020 წლის 26 თებერვლის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 01 ნოემბრის №4734538 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 აგვისტოს №4647514 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საოფისე ფართობი: 407.5 კვ.მ. სარდაფის ფართობი: 246.9 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 3241.1 კვ.მ. საერთო ფართობი: 19564.2 კვ.მ. ასევე, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -6.00, -3.00, 0.00 და +4.50 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2019 წლის 13 ოქტომბრის №AR1711838 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 26 აგვისტოს №4647514 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, სარდაფის ფართობი 246.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 217.9 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 3241.1 კვ.მ-ის ნაცვლად 3270.1 კვ.მ.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი -6.00 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება შესაძლებელია. თუმცა, -3.00 ნიშნულის გეგმაზე შეცვლილია გეგმარება და ფართობების ფუნქციები, რაც არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად საჭიროა არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება). რაც შეეხება წარმოდგენილ 0.00 და +4.50 ნიშნულის გეგმებს, აღნიშნულ გეგმბზე ცვლილებები განხორციელებული არ არის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1 დააზუსტოს მოთხოვნა სარდაფის და ავტოსადგომის ფართობებთან დაკავშირებით.

1.2 წარმოადგინოს სამსახურის 2019 წლის 26 აგვისტოს №4647514 ბრძანებით შეთანხმებული (2019 წლის 01 ნოემბრის №4734538 ბრძანებით ჩანაცვლებული) გეგმების იდენტური გეგმები გეგმარების და ფართობების ფუნქციების ცვლილების გარეშე.

1. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2020 წლის 16 ოქტომბრის №AR1781769 განცხადება დარჩეს განუხილველი.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge